აბათი, 12 თებერვალი 1905 წ.

წელიწადი 1877—1905 ოცდამეცხრე

შაბათი, 12 თებერვალი 1905 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	„ . .	9 „ 50 „
10	„ . .	8 „ 75 „
9	„ . .	8 „ — „
8	„ . .	7 „ 25 „
7	„ . .	6 „ 50 „
6	„ . .	6 „ — „
5	„ . .	5 „ 50 „
4	„ . .	4 „ 75 „
3	„ . .	3 „ 50 „
2	„ . .	2 „ 75 „
1	„ . .	1 „ 50 „

ივერია

№ 22 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 22

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1- ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და ძარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვ ს 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა პუშკინის ქუჩაზედ, ტფ. საკრედიტო სა-
ზოგადოების სახლში, მესამე სართულში, თამამშე-
ების ქარვასლის პირდაპირ, ნეიშელლერის სავა-
რო ფირმის გვერდით, ერევნის მოედნის მახლო-
ლად,

ღიაა დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს
სათიდგან 8 საათამდე.

ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო

გაზეთი „ივერია“
ანახლებულის რედაქციით ჯერ-ჯეროვნით ვერ
ამოდის. გაზეთი კიდევ რამდენისამე დღის გან-
ავლობაში ძველის რედაქციითა და წინანდე-
ლის ზომისა უნდა გამოვიდეს.

ახალი განცხადება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ფასი 10 მანეთი ერთის წლით.

„ივერია“

ცალკე ნომერი 3 კაპეიკი

წელიწადი ოცდა-მეცხრე

გამოვა ყოველ დღე, ორშაბათობითაც

განახლებულის რედაქციით და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით

გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება

ამასთან წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში

პრემიად 12 წიგნს

შემდეგის საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“. ამ წიგნებში მოთავსებული იქნება: ბელლეტრისტიული, პუბლიცისტიური, ეკონომიური და ისტორიული წერილები, უმთავრესად საქართველოს ცხოვრების შესახებ, აგრეთვე ოჯახში გამოსადეგი ცნობები დარიგებანი და სხვანი.

როგორც თვით გაზეთში, ისე საპრემიო წიგნებშიაც იქნება ხოლმე

სურათები და სხვა-და-სხვა ილიუსტრაციები.

გაზეთის წლიური ფასი რჩება იგივე, რომლის გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: წლის დამდეგს 4 მან., 1 მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მან.; ვინც ნახევარ წლით ან თვიურად გამოიწერს, უნდა შემოიტანოს თვეში თითო მანეთი.

სახალხო სკოლების მასწავლებლებს, თვით სკოლებსა და სახალხო სამკითხველოებს გაზეთი პრემიებითურთ დაეთმობათ 7 მან. ან ნახევარის წლით 4 მან., ამ შეღავათიან ხელის მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ვადრი ფული: ყოველთვე თითო მანეთი, ვიდრე სრული შემოსატანი შესრულდებოდეს.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „Иверія“

პირველი

ერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

უციაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

მყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ჩიქოვანი—9 საათიდგან 10 საათამდე ა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფო-

ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანი- ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ. ქა- და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ბძელიშვილი—12—1 საათ. ყელისა და ცხვირის სატკივრისა,

თარხანოვი—1—1½ საათ, შინაგანის ავშვებისა.

კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინა- ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათოუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

ექიმი ქალი ა. ე. შჩერბინინა—1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

გ. ა. თარხანოვი—7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. ბძელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.

წლ.

ტფილისის სამარხ კასის საზოგადო კრება

დანიშნულია სათავად-აზნაურო ქარვასლაში, მამულების სამმართველოს კანტორაში, № 153. დღეს, თებერვლის 12, საღამოს 6 საათზედ,

განსახილველად და დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ამოსარჩევად სამის სარევიზიო და ერთის გამგეობის წევრისა და წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლისა და დამატებისათვის.

(3—1).

ტფილისის სახაზინო თეატრი

ანტრეპრიზა საიპ. თეატ. არტ. ლ. დ. დონსკოისა.

შაბათს, 12 თებერვალს, წარმოდგენილი იქნება „M-lle ნიტუში“,

კომიკ. ოპერა 4 მოქმ., მუსიკა გერვესი. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დონსკაია-ეიხენვალდი, დიმიტრიევა-პოსაკოვსკისა, გორსკაია, ზასლავსკაია: ბ-ნნი პოლუიანოვი, გალეცკი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, ზალინსკი, მურატოვი. კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. უფროსი რეჟისორი გეცევიჩი. კვირას, 13 თებერვალს—ორი წარმოდგენა. დილით დაკლებულ ფასებით—„დემონი“, საღამოთი—ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით, ქ-ნ მ. ბუნაკოვის საბენეფისოდ, „კარმენი“. გამგე კელლერი. ბილეთები იყიდება.

ქართველნი მკურნალნი.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სდოსტაქრო ავადმყოფებს და საშარდე-სქესობრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15

დიასამიძე ალექსანდრე—დორის, მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18. იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-დე.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

ვ. ს. მუსხელაშვილი—გოლოვინისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

ვაჩაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი მილოვისა, № 5.

ბაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ომის ამბები

სხვა-და-სხვა ამბები. დეპეშებიდგანა სჩანს, რომ გენ. კუროკის განაპირა მარჯვენა ფრთა ბეჯითად მოქმედებს, თანდა თან წინ მოდის ცინხეჩენისაკენ და რუსის რაზმებს უკან ახევინებს. ცინხეჩენის ახლო იაპონელებს ცენლეინისა და ჩენხელინის უღელტეხილები დაუჭერიათ... რუსისა და იაპონიის ჯარი მხოლოდ ცინხეჩენის ახლო მოქმედებს ბეჯითად...

«რუს»-ის კორესპოდენტი დეპეშით იუწყება ცინხეჩინიდან: სიაოსირის მიდამოებში რუსის მზვერავ რაზმს იაპონელების მზვერავმა დარაჯებმა ჯვარედინად დაუშინეს ზარბაზანი და ერთ აფიცერსა და ერთს ყაზახს ცხენები მოუკლეს. ყაზახმა ვორონოვმა აფიცერი ცხენზე შემოისვა და იაპონელებს გამოაცალაო....

ამ დღეებში გენ. კუროპატკინიც იუწყებოდა, იაპონელები სამის მხრიდან შემოეხვივნენ სოტნიკ ექსის მზვერავ რაზმსაო; რაზმი მთის ბილიკებით წაუვიდა ხელიდან იაპონელებსაო...

გენ. კუროპატკინი. სანდეპუს ბრძოლის შემდეგ ხმა დადის, გენ კუროპატკინი მთავარ-სარდლობიდან გადაღგებაო. ზოგიერთი გაზეთი პირდაპირ თხოულობს იმის გადაყენებას. გაზ. „სლოვო“ იუწყება, გენ. კუროპატკინი პეტერბურგში. წასასვლელად ემზადებაო..

„ნოვოე ვრემია“ ესარჩლება გენ. კუროპატკინს და ამტკიცებს, რომ მთავარსარდლის გამოცვლა ამ ჟამად ზარალის მეტს არას მოუტანს რუსის ჯარსაო.

ზოგს სულაც არა სჯერა, რომ ეს ხმა მართალი იყოს...

თუ გენერალ გრიპენბერგის ნათქვამი სწორედაა გადმოცემული, სჩანს, მეორე არმიის უფროსად ნამყოფი თითონ, თავის ნებით წამოსულა მანჯურიიდან... ამას გარდა უნდა შევნიშნოთ, რომ უცხოელი კორესპონდენტები სულ სხვანაირად სწერენ 12—16 იანვარს მომხდარ ბრძოლას: იაპონელებს მეტი კი არა, ნაკლები ჯარი ჰყავდათ რუსებზე, გენ. ოკუმ გენ. გრიპენბერგის არმიის ცენტრი გაარღვია და ამით უკან დაახევინა რუსებსაო და სხვა...

ნაღმიან გემების იერიში „სევასტოპოლ“-ზე 1—2 დეკემბერს 1904 წ. იაპონელებმა 23 ნოემბერს „ვისოკაია გორა“ აიღეს, ზედ 11 დიუიმიანი ზარბაზნები დადგეს და რუსის ფლოტი ორიოდე დღეში ჩასძირეს. რუსებმა მარტო ჯავშნიანი გემი „სევასტოპოლ“-ი გაიყვანეს შიდა რეიდიდან, თეთრის მგლის გორასთან ბუხტაში დამალეს და გარშემო ნაღმიანი გემები ღაუყენეს. მაშინ ადმ. ტოგომ ნაღმიან გემებს მიატანინა იერიში «სევასტოპოლ»-ზე... „რუსკოე სლოვო-ს კორესპონდენტი, რუსის მეზღვაური ლეიტენანტი დიმიტრევი ასე აწერს ამ იერიშს: 1 დეკემბერს დღისით ერთი ნაღმიანი გემი ბუხტის ჩრდილოეთ მხარეს დააყენეს, ერთი სამხრეთ მხარეს, ერთი ბუხტის შიგნით, ოთხი ბუხტის წინ. ნაღმიან გემებს პროჟექტორებით უნდა ენათებინათ და ზარბაზანი დაეშინათ იაპონელებისათვის. ღამის მე-12 საათი რომ დაიწყო, ორი ნაღმიანი გემი გამოჩნდა, ნაღმიან გემ «სტოროჟევოი»-ს ზარბაზანი ესროლა და წავიდა. ყველანი საბრძოლველად დავემზადენით. 12 ½ საათზე კიდევ ერთი ნაღმიანი გემი გამოჩნდა აღმოსავლეთიდან, იმას მეორე მოჰყვა, მერე მესამე, მეოთხე... სულ 15 ნაღმიანი გემი წამოვიდა. „სევასტოპოლ“-მა და მგლის გორის ბატარეამ—ყველამ პროჟექტორი მიაშუქეს იაპონელებს და ზარბაზანი დაუშინეს. იაპონელები ნაღმებსა და ზარბაზანს ისროდნენ და პროჟექტორების წახდენას ცდილობდნენ.

საოცარი სურათი იყო. თუმცა პროჟექტორები თვალსა სჭრიდნენ და ზარბაზნები ყუმბარას უშენდნენ, იაპონელები მაინც შეუპოვრად მოდიოდნენ წინა, თითქო მანევრებზე არიანო. ახლო მოვიდოდნენ, ნაღმს გამოისროდნენ და მერე იმავ რიგით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ბრუნდებოდნენ.

სხვა-და-სხვა ამბები. იაპონელების ცხენოსნებმა რუსეთის ჯარს მოუარეს, უკან მოექცნენ, მუკდენიდან ჩრდილოეთისკენ 250 ვერსის მანძილზე ავიდნენ, 1 თებერვალს რკინის გზის ხიდი დააზიანეს და მატარებლების მიმოსვლა 1 დღით შეაჩერეს. იაპონელებს რუსები დაედევნენ, მაგრამ ხაფანგში გაებნენ, დამარცხდნენ, 1 ზარბაზანი იაპონელებს დაუტოვეს და ზოგმა თავს უშველა და ზოგიც ბრძოლის ველზე დარჩა. ამ ამბის შესახებ „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტი ბ. გარინი მუკდენიდან დეპეშით იუწყება: 2 თებერვალს სადგურ გუნჯულინში ერთი დაჭრილი აფიცერი და რამდენიმე ყაზახი დაბრუნდა. აფიცერმა სთქვა: „იაპონელებმა ჯერ ზურგი შემოგვაქციეს და გაიქცნენ. ჩვენც უკან დავედევნეთ, მაგრამ იაპონელები მალე შეჩერდნენ, მოგვიბრუნდნენ და ბრძოლა აგვიტეხეს. უცებ ჩვენს უკან საიდანაღაც იაპონელთა ქვეითა ჯარი—5,000 კაცი გაჩნდა. ჩვენ მაშინვე გადავწყვიტეთ, როგორმე იაპონელების წრე უნდა გავარღვიოთ და თავს უშველოთო. ჯერ-ჯერობით ის ვიცი, რომ რამდენმამე კაცმა ვუშველეთ თავს და ერთი ზარბაზანი წამოვიღეთ, მეორე—იაპონელებმა წაგვართვეს. ჩინელები ამბობენ, რომ მონგოლიიდან იაპონელების რაზმის საშველად 10,000 კაცი მოდისო“. (რ. ვ.).

პოლკოვნიკი გედკე, რომელიც აქამდის გენერალ კუროპატკინს ადმერთებდა, ეხლა კუროპატკინის წინააღმდეგ სწერს და ბევრ რამეში ამტყუნებს. უკანასკნელ ბრძოლის შესახებ (სანდეპუსთან) გედკე სწერს: მე სრულიად ვეთანხმები გენერალს გრიპენბერგსა და დარწმუნებული ვარ, რომ გენერალს კუროპატკინს იაპონელების ცრუ იერიშებისა და დემონსტრაციებისათვის არავითარი ყურადღება არ მიექცია და გრიპენბერგს მიშველებოდა, გამარჯვება რუსებისა იქნებოდაო. (რ. ვ.).

„სტანდარტის“ კორესპოდენტი ბრიუსელიდან იუწყება: დანამდვილებით გავიგე, რომ რუსეთი ახალ სესხს აღარ აიღებს, რადგან დარწმუნებულია, რომ გაზაფხულამდე ზავი ჩამოვარდება და ამიტომ სესხი საჭირო აღარ იქნება. აქ ყველა ბანკირი და ფინანსისტი დარწმუნებულია, რომ ამ ორ თვეში შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა ჩამოვარდებაო. (რ. ვ.).

ვლადივოსტოკიდან კრონშტადტში ერთი კერძო წერილი მიუღიათ, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „პორტ-არტურის აღების შემდეგ იაპონელები უეჭველად ვლადივოსტოკს მოადგებიან. ქალაქში ყველა სასწავლებელი დაკეტილია. ვისაც ქალაქში უნდა დარჩენა, უეჭველად 12 ფუთი ფქვილი, 2 ფუთი ბრინჯი და 30 გირვანქა მარილი უნდა ჰქონდეს. ქალაქში მხოლოდ იმ ქალებს დასტოვებენ, ვინც ან სათნოების დების, ანაც ავადმყოფთა მომვლელების სიაში ჩაეწერება“. (რ. ვ.).

პორტ-არტური. „რუსკოე სლოვოს“ კორესპოდენტი ჩერნიხოვსკი ჩიფუდან დეპეშით იუწყება: იაპონელები პორტ-არტურს ძალიან ამაგრებენ. მაღალი გორა და სხვა მწვერვალები ძალზეა გამაგრებული. ლიაოტეშანზე ზარბაზნებს სდგამენ. იაპონელებმა ყველგან რუსების ზარბაზნები აიღეს და თავიანთი დადგეს. ამ ზარბაზნებს ეხლავე ისვრიან და წინდაწინვე სწავლობენ, აქედან ამა და ამ ადგილამდე რამდენი მანძილია და როგორ უნდა დავუმიზნოთო. რუსების ზარბაზნები და იარაღი სამხედრო დავლად იაპონიაში გაჰგზავნეს. დალნისა და პორტ-არტურში ჯარი ცოტაა. დალნიში მოსულ ჯარს მაშინვე ჩრდილოეთისაკენ ჰგზავნიან. დალნი იაპონელებმა ციხეთ გადააქციეს, ფორტები ააშენეს და ზედ ზარბაზნები დადგეს. იაპონელებმა პორტ-არტურში მარტო 3,800 სახაზინო ცხენი ჩაიგდეს ხელში. (რ. ს.).

ადმირალმა როჟესტვენსკიმ პორტ-არტურის აღების ამბავი წმ. მარიამის ნავთსადგურში გაიგო. ამ ამბავმა ყველა მეზღვაურზედა და აფიცრებზე აუწერელი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველა ცხვირჩამოშვებული და დაღონებული იყო. (რ. ვ.).

„ეკო და პარი“-ს კორესპონდენტს სუეცში ადმირალი ლოშჩინსკი უნახავს და იმასთან ულაპარაკნია. ლოშჩისკი, სტეს-

სელი და სხვა აფიცრები ერთ გემზე ყოფილან, მაგრამ ლოშჩინსკი სულ ცალკე და განმარტოებით ცხოვრობდა გემზე, რადგან მეზღვაურთაგან მარტო ის ყოფილა და ხმელეთის ჯარის აფიცრებთან გამწყრალი იყო. ლოშჩინსკის კორესპონდენტისთვის, სხვათა შორის, უთქვამს: ადმირალმა ვიტგეფტმა ალექსეევისგან ბრძანება მიიღო, ფლოტი ზღვაში გამოიყვანე და ვლადივოსტოკში ამოდიო. სხვა აფიცრებ ვიტგეფტს ურჩიეს, უვარგისი და ნელად მოსიარულე გემები აქ დავტოვოთ, რადგან ისინი მხოლოდ ხელს შეგვიშლიანო, მაგრამ ვიტგეფტს უარი უთქვამს, ასეთი ბრძანება მომივიდა და მეც ასე უნდა მოვიქცეო. პორტ-არტურიდან რომ გამოვედით, დარწმუნებული ვიყავით, რომ დავმარცხდებოდით. მალე ტოგო წამოგვეწია და მეხივით თავზე დაგვატყდა. ადმირალი ვიტგეფტი მოჰკლეს. უფროსობა ადმირალმა უხტომსკიმ ჩაიბარა, მაგრამ ის კი არ იცოდა, თუ რა უნდა ექმნა და როგორ მოქცეულიყო, რადგან ვიტგეფტმა ალექსეევის ბრძანება და მისი ინსტრუქცია არავის არ გაუზიარა. ჩვენი ფლოტი ისეთ დღეში ჩავარდა, რომ ან უნდა მტერს დაჰნებებოდა, ტყვედ გაჰყოლოდა და ანაც უკანვე დაბრუნებულიყო. ადმირალის ლოშჩინსკის სიტყვით, მაკაროვი ნიჭიერი და გამბედავი ადმირალი იყო, სტარკი და ვიტგეფტი კი არ ვარგოდნენ. ორივენი (სტარკი და ვიტგეფტი) კაბინეტის ადმირალები იყვნენ, სთქვა ლოშჩინსკიმ. როცა ზღვაში გავიდოდნენ, მაშინვე ავად გახდებოდნენ ხოლმე. აგვისტოს გასვლამდე ადმირალს სკრიდლოვს ადვილად შეეძლო ვლადივოსტოკის ფლოტი პორტ-არტურში ჩამოეყვანა, მაგრამ რაღაც მოსაზრებისა გამო ასე არ მოიქცა. (რ. ვ.).

ბალტიის მესამე ესკადრა. „ეხო დე პარი“-ს ატყობინებენ, რომ მაისში ბალტიის ზღვიდან შორეულ აღმოსავლეთში მესამე ესკადრა წავა. ამ ესკადრას შეადგენს: ჯავშნოსნები „სლავა“ და „იმპერატორი ალექსანდე II“; კრეისერები: „პამიატ აზოვა“ და „ადმირალი კორნილოვი“; ტრანსპორტი «ვოლგა» და 15 ნაღმოსანი. (რ. ვ.).

ბაქოს ამბები.

9 თებერვალი, ოთხშაბათი, საღამოს 5 საათი.

ორი დღე და ნახევარი მთელი ბაქო სისხლით ირწყვებოდა, ხალხი ასობით იხოცებოდა ქუჩებში; მოკლულები აჩეხილ ტყესავით ეყარნენ ყველგან. ქუჩები ბრძოლის ველად იყო გარდაქცეული. ახლო-მახლო სოფლებიდამ თათრობა წამოვიდა შეიარაღებული; ბაქო აივსო ამ ხალხით. ყოველ წამს მოსალოდნელი იყო მთელ ბაქოს აოხრება, გადაწვა, ქრისტეანების ამოწყვეტა დედა-ბუდიანად. გუშინ, წუხელ და დღეს სახლების აკლებაც ხდებოდა ხშირად და თანდათან ძლიერდებოდა ეს საშინელი წარღვნა. გუბერნატორს ხელ-ქვეით ჯარი ძლიერ ნაკლებად ჰყავდა; ამით ერთ ქუჩასაც ვერ დაიცავდა. და აგერ დღეს ერთი უბრალო წამალი გამოიგონა და მრავალი ათასი თათრობა და სომხობა იარაღს თავს ანებებს და ერთი მეორეს ძმურად ხელი გაუწოდა. ქალაქი უცბად დაწყნარდა. ეხლა მოკლულების აკრეფა-ღა დარჩა ქუჩებში. რა იყო ეს სასწაულის მომქმედი წამალი? დაიბარა სომხების სამღვდელოება და თათრების მოლები, დაიბარა თავიკაცები ორთავე ერისა; ერთად შეყრილი ერთ პროცესიად შეადგინა, — სომხის სამღვდელოება, მოლები, სომხები და თათრები, ერთად შეუდგნენ გზას; წინ უძღოდა გუბერნატორი ნაკაშიძე და ასე ქუჩები მოიარეს. უცბად შესწყდა თოფების გრიალი, კვილ-წივილი, თათრობა და სომხობა ერთმანეთს ხელს აძლევდნენ ყველგან; ყველგან „ურა“-მ დაიგრიალა პროცესიის მოახლოვებაზე. „ყურთალ ჯი, ყურთალდი, კონჩილ, კონჩილ!!“ — ყველა ყვიროდა. დაწყნარდა ყველაფერი, ფაიტონები გაჩნდნენ ქუჩებში; თათრობა, სომხობა და სხვები წყნარად დაიარებიან ახლა ყველგან. მშვიდობა დამყარდა, და ისიც ჯარით კი არა, არამედ უბრალო ხერხით. გუშინდელი მტრები დამეგობრდნენ. უბრალო ხერხმა მრავალი ათასი სიცოცხლე გადაარჩინა. სამწუხაროა, რომ ამ ხერხს არ მიმართეს შეტაკების პირველ დღესვე და ამდენის ხალხის სისხლი დაიღვარა და მთელი ქვეყანა შეაძრწუნა.

ამ მოვლენამ ყველა უნდა გამოგვაფხიზლოს და სერიოზული ღონისძიებანი უნდა მივიღოთ, რომ აღორძინდეს და განმტკიცდეს ერთობა და მეგობრობა ყველა კავკასიის ერთა შორის. ამას თხოულობს ჩვენი და ჩვენის ქვეყნის ძირითადი ინტერესები და ხალხის კეთილდღეობა.

ა. კ.

ახალი ამბავი

ტფ. გუბერნიის თავ.-აზნაურთა **წინამძღოლმა თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა** შემდეგი დეპეშები გაჰგზავნა ბაქოში: 1) „ბაქო. ჰაჯი-ზეინალ-აბდინ-ტაღიევს. მუსულმანთა მონათესავე გუბერნიის თავად-აზნაურთა სახელით, აგრეთვე პირადად მე, მივმართავ შენს კეთილშობილურს გრძნობას და გთხოვ შეაერთოთ ჩვენის საზოგადო სამშობლოს მოყვარულნი ძმანი, დღეს ერთმანერთის მოსისხლე მტრებად გამხდარნი, დაამყაროთ მშვიდობიანობა და ხელი შეუწყოთ ძმათა შორის სისხლის ღვრის მოსპობას. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. მელიქიშვილი“.

2) „ბაქო. ფარრუხ-ბეგ-ვეზიროვს. გაფიცებ ჩვენს მეგობრობას, უგულითადესად გთხოვ, როგორც გუბერნიის ყველა თავად-აზნაურთა სახელით, ისე ჩემის მხრითაც, მოიხმარე ყოველი ძალ-ღონე და დაამშვიდე აბობოქრებულ მოძმე ხალხის მღელვარება, დაამყარე მშვიდობიანობა და მოსპე როგორმე ძმათა მკვლელობა. ხმა მუსულმანთა მონათესავე თავად-აზნაურობისა მოუწოდებს მუსულმანთა კეთილშობილურს გრძნობას, და შენ, დარწმუნებული ვარ, მიაწვდენ ამ ხმას შენს თანამემამულეთ. გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. მელიქიშვილი“.

⁂ გუშინწინ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა **კერძო საგანგებო კრებაზედ** მიწვეულ იქმნენ: გუბ. თავ.-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, პრესის წარმომადგენელნი და სხვ. ბაქოში მომხდარ ამბების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებამ აირჩია დეპუტაცია მთავარ-მართებლის თანამდ. ალმასრ. გენ.-ლეიტ. ი. დ. მალამასთან წარსადგენად. დეპუტატებად აირჩიეს გუბერნიის მარშალი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, ქალაქის მოურავი ქრ. ა. ვერმიშევი, სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე თავ. ი. გ. ჭავჭავაძე და ტფილისის სხვა საკრედიტო საზოგადოებათა და კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელნი და სხვ. დეპუტაციამ უნდა იშუამდგომლოს გენ. მალამასთან, რომ მან თვისის ავტორიტეტით დაამშვიდოს ბაქოს მღელვარება და აგრეთვე უნდა იშუამდგომლოს, რომ დანიშნულ იქმნას ამ საშინელ ამბების გამოსარკვევად, თანახმად თავ. ი. გ. ჭავჭავაძის წინადადებისა, გამომძიებელი საგანგებო კომისია, რომელშიაც უნდა იყოს მხოლოდ ერთი სასამართლოს გამომძიებელი, ხოლო თითო-თითო სომეხთა და მაჰმადიანთა წარმომადგენელი.

⁂ გუშინწინ საღამოს ტფილისის გუბერნატორმა თავის სადგომში **მიიწვია სომეხთა და მაჰმადიანთა სამღვდელოების** წარმომადგენელნი და სთხოვა, შთააგონონ ტფ. მცხოვრებ სომხებსა და თათრებს, რომ აქაც არ განმეორდეს ბაქოს ამბები.

⁂ ყოველ დღე ბაქოდგან აყარებული **ლტოლვილი სომხები** ჩამოდიან ტფილისში: საბრალონი ბაქოს ძმათა შორის ხოცვა-ჟლეტას გამოჰქცევიან და ტფილისს მოაშურეს თავშესაფარად. ტფ. ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ლტოლვილნი მორთულს ოთახებში („მებლ. ნომერა“) მოათავსონ ქალაქის ხარჯზედ.

⁂ გუშინ-წინ ქალაქის საბჭოს ხმოსნებს **კერძო საგანგებო კრება** ჰქონდათ; კრებამ დაადგინა: გადასდოს ქალაქმა ბაქოში მომხდარ საშინელ სისხლის ღვრის დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, 3,000 მან.; ითხოვოს ნებართვა ხელის მოწერით ფულის შეკრებაზედ დაზარალებულთ სასარგებლოდვე; დაავალოს ქალაქის მოურავს, იმოქმედოს ადგილობრივ მცხოვრებლებზედ, რომ აქაც არ განმეორდეს ამისთანა საშინელი ამბები, და ეცადოს დაამშვიდოს ტფილილისის მკვიდრნი და სხვ.

⁂ დაწვრილებით ცნობების შესაკრებად ბაქოდგან ჩამოსულ სომეხთა და თათართა დარბევა-აწიოკების შესახებ ქალაქის გამგეობასთან **შესდგა ბიურო**, რომელშიაც არჩეულ იქმნენ: თავ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ა. ს. ბაბოვი, ან. ნ. ფურცელაძე, ი. დოლუხანოვი, ტფ. მაზრის თავ.-აზნაურთა წინამძღოლი გ. თულაშვილი და ალ. გ. ჯაბადარი.

⁂ ამ დღეებში ტფილისში **ჩამოვიდა** ვლადივოსტოკიდგან მანჯურიის პირველ ლაშქრის სარდლის **გენერალ ლინევიჩის ოჯახობა.**

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზათა უფროსს ინჟ. ივანოვსკის **განცხადება გამოუცია და გაუკრავს** რკინის გზის **სახელოსნოების ყველა განყოფილებაში.** განცხადებაში ივანოვსკი ამბობს, სხვათა შორის, შემდეგს: ჩემამდე მოაღწია ხმამ, ვითომც 18 და 19 იანვარს შეკრებილნი იყვნენ დიდუბის მოედანზედ მუშები რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოებისა და მე მელოდებოდნენ, ხოლო როცა მე არ მივედი, მუშები დაიშალნენო. მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს გამოვაცხადო, რომ არაფერი არ ვიცოდი მუშების შეკრებისა დიდუბის მოედანზედ, თორემ უთუოდ მივიდოდი. წინადაც მოუმართავთ ჩემთვის მუშებს და უარი არ განმიცხადებია მათთან ლაპარაკზედ, მაშასადამე, არც ახლა მოვერიდებოდი მუშებთან მოლაპარაკებას, მაგრამ არა ვიცოდი-რა და არავითარიმე წერილი არც ფოსტითა და არც პოლიციის საშუალებით არ მიმიღიაო და სხ. — ამბობს ბ-ნი ივანოვსკი.

⁂ **გუშინწინ ტფ. პოლიცმეისტერს წარუდგა ავლაბრელთა დეპუტაცია** და **სთხოვა**, — მე-7 უბნის (ავლაბრის) ბოქაულს ბ-ნ გომელაურს ნუ გადაიყვანთ მე-4 უბანშიო. «ბ-ნმა გომელაურმა ადგილობრივი ენები იცის, იცის აგრეთვე ჩვენი საჭიროება და გთხოვთ, ისევ ავლაბრის უბანში დასტოვოთ, თორემ იქ რომ რუსი დაგვინიშნოთ ბოქაულად, ჩვენსას არას შეისმენს და უკიდურეს მდგომარეობაში ჩავვარდებით ისედაც გაჭირვებულნი ავლაბრელნიო“, — სთქვე დეპუტატებმა. პოლიცმეისტერი დაჰპირ და შუამდგომლობის დაკმაყოფილებას.

⁂ ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ, თანახმად უწმ. სინოდთან არსებულ სამოსწავლო კომიტეტის დადგენილებისა, ტფილისის **სემინარიის დახურვა და სწავლის მოსპობა შეუძლებელია** პედაგოგიური მხრით; სემენარიის დახურვა და შეგირდების დათხოვნა არც იმიტომ არის შესაძლებელი, რომ მრავალ მოსწავლეთაგანს არც დედ-მამა და არც ნათესაობა არ მოეპოვებათ ტფილისში, და მათი შინ გამგზავრება კი დიდ ხარჯს მოითხოვს სემენარიის გამგეობისაგანაო; რაც შეეხება იმას, რომ ზაფხულობით შესაძლებელია თუ არა სემენარიის შენობა დაეთმოს ტფილისში თავ-მოყრილ ჯარის კაცთ, ამის გარდაწყვეტა ექსარხოსის საქმეაო.

⁂ ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობას განზრახვა აქვს ამ ცოტას ხანში **გამართოს კონცერტი**, რომლის შემოსავალიც გადადებული იქმნება საზოგადოების ქონების გასაძლიერებლად.

⁂ ამ ცოტა ხანში ტფილისში **ჩამოვა** პეტერბურგიდგან რუსეთის საზოგადოების ტფილისის განყოფილების დირექტორად ნამყოფი ბ-ნი **კლენოვსკი**, რომელიც მოწვეულია სიმფონიურ კონცერტების სალოტბაროდ; კერძო წყაროებიდგან შევიტყვეთ, რომ კლენოვსკის დავალებული აქვს სასულიერო სა მუსიკო საზოგადოებისაგან შეისწავლო ადგილობრივის ქართულ საეკლესიო გალობის მენზურალური სისტემა. ამ განზრახვით ბ-ნი კლენოვსკი აპირებს დროებით კახეთისა და იმერეთის მოვლის მგალობელთა გუნდების მოსასმენად.

⁂ ექსარხოსის კანცელარიამ აუწყ ქალაქის გამგეობას, რომ, თანახმად ე სარხოსის დადგენილებისა, მამა იოანნ **გოსტორგოვი განთავისუფლებულ იქმნ** ქალაქის საბჭოში სამღვდელოების წარმომადგენლობის თანამდებობიდგან

ფელეტონი

სატრფოს.

შენ ის არ მოგწონს, რაც რომ შეადგენს
ჩემს შეუდრეკელ, ჩემს წმინდა რწმენას,
რაც ძალას მმატებს და მაღფრთოვანებს,
რაც ტურფათა ჰხდის ჩემთვის ცხოვრებას.

—

ზღვის ტალღის ცემა, ელვა-ქუხილი
შენ მხოლოდ შიშს გგვრის და გეჯავრება;
ბურუსით მოცულ ტყის ყრუ გუგუნი
შენ არ გახარებს, არ გენატრება.

—

შენ ჩუმს ცრემლსა ღვრი, როდესაც ხედავ
ირგვლივ სიბნელეს, სიწყვდიადესა,
ოხრავ და ჰკვნესი, როდესაც უმზერ
გათელილ გრძნობას და სიმართლესა.

—

მე-კი არ ძალ-მიძს, რომ მოვითმინო,
გადავაყოლო ცრემლს მწუხარება;
არ ძალ-მიძს ვიდვე მე უმოქმედოთ,
როს სამოქმედოთ მიწვევს ცხოვრება.

—

ზღვის ტალღის ცემა, ელვა-ქუხილი
ვერ შემაშინებს, არ მეჯავრება;
ბურუსით მოცულ ტყის ყრუ გუგუნი
მე გულს მიხარებს და მენატრება.

—

იქროლოს ქარმა, იჭექოს ზეცამ,
ზღვამ ბანი მისცეს სასტიკ ბუნებას, —
ეს არის მხოლოდ ბედნიერება,
მე ამაში ვგრძნობ მხოლოდ ცხოვრებას.

—

შენ ის არ მოგწონს, რაც რომ შეადგენს
ჩემს შეუდრეკელ, ჩემს წმინდა რწმენას,
მაშ როგორ გინდა, რომ შევუერთო
ჩემი ცხოვრება შენსა ცხოვრებას?

—

ვერა, ვერ გავცვლი მე ვერასოდეს
ბრძოლას ტრფობასა და სიყვარულში;
ვერ გავცვლი ბრძოლას წმინდას და მედგარს,
ბრძოლას სუსტსა და მონურ-ფარულში.

—

იქროლოს ქარმა, იჭექოს ზეცამ,
ზღვამ ბანი მისცეს სასტიკ ბუნებას, —
ეს არის მხოლოდ ბედნიერება,
მე ამაში ვგრძნობ მხოლოდ ცხოვრებას...

მოუსვენარი

ბიუროკრატია და პედაგოგია.

(დასასრული *).

მეთოდმა თქვენი ჭირი წაიღოს, დღეს სავალდებულოდ ხდიან — და ქუთაისის გუბერნიაში გახადეს კიდეც, — ლევიცკის სახელმძღვანელო წიგნებს, რომელნიც უსისტემოთ და ყოველ პედაგოგიურ და დიდაქტიურ მოთხოვნილებათა წინააღმდეგ არიან შედგენილნი. ამას ძლიერ კარგად გრძნობენ სახალხო სკოლების მასწავლებელნი და პრაქტიკულად დარწმუნებულნიც არიან ამ წიგნების უვარგისობაში, მაგრამ თავისი სურვილი შიშით ვერ გამოუთქვამთ უფროსების წინაშე. თვითონ უფროსებიც წინააღმდეგნი არიან ლევიცკის სახელმძღვანელო წიგნებისა, მაგრამ ჭეშმარიტი აზრი, სიმართლე ვერ გამოუთქვამთ თავიანთ უფროსების წინაშე. თურმე სწავლა-აღზრდის საქმეშიაც „ძალა აღმართსა ხნავს“. როგორც სამინისტროსაგან დაწუნებული და მხოლოდ ადგილობრივ სამოსწავლო ოლქის საბჭოს მიერ საცდელად ნება დართული ლევიცკის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო, სიტყვიერის ბრძანებით ვრცელდებოდა პირველ-დაწყებით სკოლებში მალულად, კონტრაბანდათ. ყოველის მხრივ შებორკილ მასწავლებლისათვის ხომ ასეთი შინაურული ბრძანებაც კანონი იყო. ეხლა, როდესაც მასწავლებელთა უმეტესობამ კვერი დაუკრა ადგილობრივ სამოსწავლო უწყების წარმომადგენელთ ამ სახელმძღვანელოს უპირატესობაზე, შინაურულმა ბრძანებამ ადგილი დაუთმო ოფიციალურს და დღეს ქუთაისის გუბერნიის ყველა სოფლის და ქალაქის მასწავლებელთ ოფიციალური ცირკულიარული ბრძანება მიუვიდათ შემდეგი შინაარსისა: არ გაბედოთ გარდა ლევიცკის წიგნებისა სხვა წიგნების შემოღება თქვენდამი რწმუნებულ სკოლებში. უკეთუ ადგილობრივ წიგნის მაღაზიაში ვერ იშოვნოთ აღნიშნული სახელმძღვანელონი, იმ შემთხვევაში გამოიწერეთ პირდაპირ ავტორისაგან. წარმოიდგინეთ, რომ ადგილობრივ წიგნის მაღაზიებში მოხსენებული სახელმძღვანელო არ აღმოჩნდა და ზოგიერთ მასწავლებელთაგანმა, რომ უფროსის ბრძანება ზედ-მიწევნით და შეუცვლელად აღესრულებინა, — პირდაპირ ავტორისაგან გამოიწერა, მაგრამ არც აქედგან გამოდნა არაფერი, აგერ ნახევარმა სასწავლო წელმა განვლო და ეს ვაჟბატონები დღესაც უწიგნოთ ასწავლიან ბავშვებს რუსულს ენას. მარტო ლექსიკური გაკვეთილებით ტვინი გამოულაყეს საცოდავ ბავშვებს და გულიც გაუგრილეს სწავლაზე. ბ. ლევიცკის საჭიროდ არ დაუნახავს თავის დროზე მიეწოდებინა სკოლისათვის თავისი წიგნები, რადგან დარწმუნებული ყოფილა, თუ გინდ ერთი წელიც დააგვიანოს წიგნების გამოცემა, ბ. მზრუნველი მაინც ნებას არ მისცემს დირექტორს სხვა ავტორთა სახელმძღვანელოს შემოღებისას თავიანთ დირექციაში.

მიუხედავათ სასტიკი ცირკულიარული განკარგულებისა, რამოდენიმე მასწავლებელთაგანმა გაბედა და მიმართა ბ. დირექტორს რჩევისათვის: როგორ მოვიქცეთ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენი ბრძანება აღვასრულეთ, წიგნები გამოვიწერეთ და აქამდის ვერ ველირსეთ მათ მიღებას და ვერც პასუხს“.

„უნდა მოუცადოთ, იქონიეთ მოთმინება, მე თითონ არაფრად მეპიტნავება ბ. ლევიცკის წიგნები, მაგრამ რა ვქნა, უფროსის ბრძანებას ვასრულებ. ეხლა წადით და სანამ წიგნებს მიიღებდეთ, ლექსიკური გაკვეთილებით შეიქციეთ, ბავშვები“... ამ სიტყვებით დაბრუნდნენ ქუდებ იღლიაში გამორჭობილნი მასწავლებელნი თავიანთ სკოლებში და აქამომდე თვალებ გამობრეცილნი გაიყურებიან ელისავეტპოლისაკენ გამოწერილი წიგნების მოლოდინში. გაოცებული მშობლები ასეთ არა ჩვეულებრივი მოვლენით ანგარიშს თხოულობენ მასწავლებელთაგან, რა მიზეზია, რომ ჩვენმა შვილებმა აქამდის რუსული კითხვა არ იციანო...

აი სკოლა! აი ჰუმანიური პედაგოგიური პრინციპების განხორციელება. მეოცე საუკუნეში სკოლა პოლიციის კანცელიარიას წარმოგვიდგენს, მასწავლებელი გამგეს, რომელიც ვალდებულია ზედმიწევნით და შეუცვლელად თავისი უფროსის ბრძანება შეასრულოს... თითქო გარდა ლევიცკისა სხვა ავტორთა მიერ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნები, მაგალითად: ვოლპერისა, უშინსკისა, შელცილისა, გოგებაშვილისა, გრიგორიევისა, ჩერნიაევსკისა, კორხანიდისა და დავისისა ჩინურ-იაპონურს ან ხუნხუზურს ენაზედ არიან შედგენილნი და არ ემსახურებიან საზოგადო აღნიშნულს მიზანს — რუსულ ენის გავრცელებას და მის რიგიან ნიადაგზე დაყენებას ადგილობრივ სკოლებში... სასაცილოა, ღმერთმანი, რომ დიდად სამწუხარო არ იყოს... თითქმის ყველა სახალხო სკოლების დირექციებმ (გარდა ელისავეტპოლისა, სადაც ბ ლევიცკის წყალობით, როგორც უფრო სის ძალდატანებით, ვრცელდება მოხსენ ბული წიგნები წინააღმდეგ აღმზრდელთ სურვილისა), თერგის ოლქისა, ერივან სა, ბაქოსა, ყუბანის, ტფილისისა ნოვოროსიისკისა, — უარჰყვეს ბ. ლევიცკ წიგნები, როგორც უსისტემოდ და უვარ გისად შედგენილნი და უპირატესო ბა ვოლპერსა, უშინსკისა და გრ გორიევს მისცეს. მაგალითად, ყარსი ოლქის პირველ დაწყებით სკოლებისა ქალაქის სასწავლებლის მასწავლებელთ საერთო კრებამ ადგილობრივ ინსპექტ რის ბ. დეგიძის თავმჯდომარეობით ერ ხმად უარ ჰყო ლევიცკის სახელმძღვან ლო წიგნები და უპირატესობა გრიგო რიევისა და ოლენინის მიერ შედგენ ამ წიგნებს მისცა და დაადგინა უკ ნასკნელ წიგნების შემოღება ოლქ სამინისტრო სკოლებში. (იხილე «Пр токолы Педагогическаго собран учителей начальныхъ школъ Кар ской области и преподавателей Кар скаго Городского училища въ се тябрѣ 1902 г, გვერდი 138). მ რაღა ქუთაისის გუბერნიის სკოლებისა ვის მოიცალა ამ ყოვლად დამახინჯებულ სახელმძღვანელო წიგნებმა? თუ დანარ ნმა ოლქის დირექციებმა შესძლეს უ ჰყოფა ამ სახელმძღვანელოსი, რატ ქუთაისის დირექციას არ შეუძლიან ბ. დირექტორი ვერ ბედავს. ეშინ შბილი ადგილის დაკარგვისა, ნუ თუ ასე უბრალო საქმისათვის სამსახურიდ დაითხოვენ? შეიძლება არ დაითხოვ მაგრამ ის არ ურჩევნია უფროსს ასიამ ენოს, მასთან კარგი განწყობილება იქ ნიოს?.. მით უმეტეს, რომ მოწინააღმ გე არავინა ჰყავს, ყველა მასწავლებლ მონურად ქედს იხრიან მის წინაშე

---

*) იხ. „ივერია“ № 21.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამის მაგივრად ინიშნება იოანნე ღვთისმეტყველის ეკლესიის მღვდელი მ. იოანნე მიხაილოვი.

* * ტფილისის სომეხთა საზოგადოებამ ეჩმიაძინში სრულიად სომეხთა კათალიკოზს გაუგზავნა გუშინ შემდეგი დეპეშა: „ტფილისის სომეხთა საზოგადოებამ განიხილა-რა სომეხთა მდგომარეობა ბაქოში, სცნო თქვენი იქ ყოფნა საჭიროდ, სადაც ამ დროს იმყოფება მუსულმანთა სამღვდელოების უფროსი; ამიტომ საზოგადოება გემუდარებათ, თქვენო უწმინდესობავ, წაბრძანდეთ ბაქოში და ანუგეშოთ ტანჯული ხალხი».

* * გუშინვე მოვიდა ცნობა ქალაქში, რომ სრულიად სომეხთა კათალიკოსი ჩამოვა ტფილისში და აქედგან გაემგზავრება ბაქოს; კათალიკოსს ტფილისის სომეხთა საზოგადოებამ უკვე გაუგზავნა ცალკე საპატიო ვაგონი.

* * გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა ქ. ბაქოდგან ბ-ნ თოფჩიბაშევისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა: „ჩვენდა სა[illegible]როდ, შემაძრწუნებელი სისხლის [illegible] შესწყდა სომეხთა და მუსულმანთა [illegible]; მხურვალე მონაწილეობა მშვიდობიანობის დამყარებაში მიიღეს სომეხთა [illegible] მუსულმანთა ინტელიგენციამ, გავლენიან კაცთა და სამღვდელოების წარმომადგენელთა; იმედია სრულებით მოისპობა შურისძიება და ჩამოვარდება მშვიდობიანობა ორ მოძმე ხალხთა შორის; ხვალისთვის განზრახულია, რომ ქუჩა-ქუჩა დაიაროს მუსულმანთა სამღვდელოებამ ლოცვა-კურთხევით; პროცესიაში მონაწილეობს კავკასიის მუსულმანთა სამღვდელოების უფროსი შეიხ-ულ-ისლამი; დაარსდა კომიტეტი, რომელიც მიიღებს შემოწირულებას დაშავებულთა საშველოდ; ყველა კავკასიის ქალაქებს გაეგზავნათ სამშვიდობო დეპეშები“.

* * ტფილისის ქალაქის მოურავმა გუშინ, 11 თებერვალს, წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს გარდაწყვეტილება ქალაქის საბჭოსი შესახებ 3,000 მანეთის გადღებისა ბაქოში არეულობის დროს დაზარალებულთა საშველად და სთხოვა, ნება მიეცეს ქალაქს ეს თანხა ეხლავე მოახმაროს საქმეს დანიშნულებისამებრ.

* * ტფილისის პოლიცმეისტერმა კოვალიოვმა აცნობა გუბერნატორს, რომ სალდათის ქუჩაზედ და ვანქის ახლო-მახლო უბნებში მრავალი სახლი გადავიდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ხელში, რომელიც წინად სომხების ეკლესიებს ეკუთნოდათ. ბევრი მათგანი ისე დაძველებულა, რომ სადაა ჩამოიქცევა, და თუ ეხლავე არა ეშველა-რა, შეიძლება დიდი უბედურება დატრიალდესო; პოლიცმეისტერისავე სიტყვით, ამ სახლების ეზოები და მიდამოები საშინელის სიბინძურით არის სავსე; ამის გამო გუბერნატორმა მოახდინა განკარგულება შესდგეს საგუბერნიო ტეხნიკოსთა კომისია, რომელსაც დაევალოს ამ სახლების დათვალიერება; კომისია შესდგება: საგუბერნიო ინჟინერების ვასილიევისა და მილოვსკისაგან, ტფილისის პოლიცმეისტერის, საგუბერნიო ექიმისა და კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა გამგეობის წარმომადგენლისაგან.

* * 8 თებერვალს ბათუმში ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ, სენატორის ზავადსკის თავმჯდომარეობით, ხალხის დაუსწრებლად განიხილა ორი პოლიტიკური საქმე: 1) სააკ კიურკჩიოღლისა, რომელსაც სასჯ. დებ. მე-132 მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული დანაშაულობა ჰბრალდებოდა, და 2) ბელოუსოვისა, რომელსაც სასჯ. დებ. მე-103 მუხლში აღნიშნული დანაშაული ჰბრალდებოდა. პალატამ გადაუწყვიტა საპყრობილეში დაპატიმრება პირველს ხუთის თვით, ხოლო მეორეს—ორის თვით. ბრალდებულთ იცავდნენ ნაფ. ვექილები იოანისიანცი და იურკევიჩი. (ც. ფ.).

* * «ცნ. ფ.»-ს საჯავახოდან ატყობინებენ, რომ ამ დღეებში იქიდან გაქცეულა კავკასიის მსროლელთა ბატალიონის სალდათი სალუქვაძე. ეს ბატალიონი საჯავახოში წესიერების დასაცველად არის ჩასული. სალუქვაძეს თან წაუღია სამი თოფი და მრავალი პატრონები.

* * როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ბათუმსა და ფოთში გემების დამტვირთავ-გადმომტვირთველებმა მუშაობაზე ხელი აიღეს. ამის გამო ოდესიდან ბათუმში ასი მუშა ჩაუყვანიათ, მაგრამ მუშაობა მაინც ვერ დაწყო.

* * როგორც „ინვალიდ“-შია გამოცხადებული, ბრძოლის ველზე, სხვათა შორის, დაჭრილა მე-34 პოლკის სალდათი ქუთაისის მცხოვრები ივანე კამარაძე.

რ უ ს ე თ ი

როგორც ამბობენ, საერო კრებაში, რომელიც მარტში უნდა შესდგეს, მოწვეულნი იქნებიან საგუბერნიო თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, საგუბერნიო საერობო კრებების თავმჯდომარენი და საგუბერნიო ქალაქების მოურავნი; ამას გარდა, მოწვეული იქნება ყველა საერობო გუბერნიიდგან თითო წარმომადგენელი. ამ წარმომადგენლებს აირჩევენ ადგილობრივ საერობო კრებებზედ. რაც შეეხება იმ გუბერნიის წარმომადგენლებს, სადაც ერობა არ არის შემოღებული, ამაზედ ჯერ არაფერი ისმის. როგორც ამბობენ, საერობო კრების წარმომადგენელთა რიცხვი 400 კაცს არ აღემატება. („რ. ვ.“)

— 4 თებერვალს რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურის კარებზედ გაუკრავთ შემდეგი განცხადება: „რადგანაც 1 და 3 თებერვალს პირველ ქარხანაში და 3 თებერვალს მეორე ქარხანაში მუშები გაიფიცნენ და მუშაობაზედ ხელი აიღეს, ამიტომ გამგეობა რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურის ამხანაგობისა აცხადებს, რომ დღეიდგან ქარხანა დახურულია. მუშებთან ანგარიშის გასწორების შესახებ თავის დროზედ ცალკე იქნება გამოცხადებული“. მანუფაქტურის შენობაში 4 თებერვალს დილით მუშები აღარ შეუშვეს. („რ. ვ.“).

— პეტერბურგში შეუტყვიათ, რომ მღვდელი გაპონი ამ ჟამად პარიჟში იმყოფებაო. გაპონი აქამდისინ შვეიცარიაში ყოფილა. („რ. ვ.“).

— პეტერბურგში დეპეშით ატყობინებენ, რომ მუშების გაფიცვა ირკუტსკში ჯერაც არ გათავებულა. რკინის გზის ლიანდაგზედ ჯარის კაცებს ამუშავებენ. მთავრობა შიშობს, მდინარე ობზე და ენისეიზე დიდი ხიდები არ დაანგრიონო. („რ. ვ.“).

— უმაღლეს საქალებო კურსების პედაგოგიურ საბჭოს გარდაუწყვეტია, შეაჩეროს სწავლა ახალ განკარგულებამდის. („რ. ვ.“).

— 4 თებერვალს ვ. ი. კოვალევსკის თავმჯდომარეობით შემდგარა კრება ტეხნიკურის საზოგადოებისა. პროფესორ ლუტუგინს უთქვამს, რომ ტეხნიკურ საზოგადოებას ყველაზედ მეტი მოვალეობა აწევს ყოველმხრივ გამოიკვლიოს მუშათა საკითხი. ამ აზრით ის წასულა მოსკოვში და შეჰკითხებია ბევრს გამოჩენილ სპეციალისტ პროფესორებს: პოსტნიკოვს, ჩუპროვს, ვებნადსკის და სხვას და მათი თანხმობაც მიუღია. გარდაუწყვეტიათ, დაარსონ სპეციალური ბიურო ინჟენრებისა და სპეციალისტებისა ამ საკითხის გამოსარკვევად. ამ ბიუროში აირჩიეს ლუტუგინი, ბერენშტამი, გეკელი, გესსენი და სხვა (რ. ვ.).

— როგორც ტვერიდგან ატყობინებენ „ნოვოსტის“, საგუბერნიო საერობო კრებაზედ ხმოსანს დე-როზერტის სიტყვა წარმოუთქვამს. სიტყვა რომ დაუმთავრებია, შემდეგ ერთ-ერთ მაყურებელს მოუთხოვნია ლაპარაკის ნება. კრების თავმჯდომარეს კოსტილიოვს უპასუხნია, რომ საერობო კრებაზედ სიტყვის წარმოთქმის ნება აქვთ მხოლოდ ხმოსნებსო. მაყურებლებს ყვირილი აუტეხნიათ: „ვსთხოვთ ხმოსნებს ჩვენი სიტყვაც მოისმინონო“, და ერთ-ერთ მათგანს დაუწყია მუშების მოწოდების კითხვა. თავმჯდომარეს ზარისთვის დაუტანებია ძალი, კრება შეუწყვეტია და ბოლოს სულაც დაუხურავს. მანიფესტანტებს მაინც თავისი გაუყვანიათ, უთქვამთ, რაც სათქმელი ჰქონიათ და შემდეგ დაშლილან (რ. ვ.).

— პსკოვის საგუბ. ერობის კრება 20 დღის სხდომების შემდეგ დაუხურავთ ისე, რომ არჩევნები არ მომხდარა. არჩევნები შემდეგისათვის გადაუდვიათ. კრების გაუქმების მიზეზი ყოფილა შემდეგი: ხმოსნები ორ დასათ გაყოფილან და ერთად ვერ შეთანხმებულან. ბოლოს მაყურებლებიც ჩარეულან და სტვენითა და ყვირილით უშლიდნენ თურმე ხელს სხდომების გაგრძელებას. (რ. ვ.)

—მუშათა საკითხის გამოსარკვევად დანიშნულ კომისიის თავმჯდომარეს შიდლოვსკის პირველ კომისიის სხდომა დაუნიშნავს 6 თებერვლისთვის. ჯერ შეადგენენ ყველა ქარხნების სიას, სადაც ჩამოთვლილი იქნება რაოდენობა ქარხნების გამგეობისა და მუშებისა. კომისია შესდგება 150 წევრისაგან, აქედან 50 კაცი დანიშნული იქნება მთავრობისაგან, 50—მექარხნეებისაგან და 50—მუშებისაგან. მუშებს არ მისცეს ნება, რომ თავიანთ წარმომადგენლებად ნასწავლი კაცები აერჩიათ (რ. ვ.)

—ირკუტსკში თურმე აღარც შაქარია, აღარც ფქვილი. ყველა საქონლის ფასს აუწევია, რადგან რკინის გზა ვერ აკმაყოფილებს ქალაქის მოთხოვნილებას. ეშინიათ კრიზისისა. (რ. ვ.)

—ვარშავის პოლონურ გაზეთების რედაქტორებს გაუგზავნიათ დეპეშა ბეჭდვითი სიტყვის კანონთა გადამსინჯველ კომისიის თავმჯდომარის კობეკოსთვის. რედაქტორები თხოულობენ ცენზურის გაუქმებას და ადმინისტრაციის თვითნებობისაგან განთავისუფლებას. სხვათა შორის, ითხოვენ, რომ კომისიაში მიწვეულ იქმნან პოლონურ პრესსის წარმომადგენელნი, რომელნიც ნათლად დაუხატავენ კომისიას ყველა იმ შევიწროვებასა და აუტანელ გარემოებას, რომელშიაც არის დღეს პოლონური პრესსა. (რ. ვ.)

—მუშების საერთო გაფიცვა არც გროდნოს გუბერნიას ასცდენია. გაფიცვა დაწყებულა ჯერ თვით გროდნოში. გაფიცულან ზოგიერთ ქარხნების მუშები და პურის მცხობლები, ასე რომ, რამდენსამე დღეს ქალაქში გასასყიდი პური არა ყოფილა, მაგრამ რადგან ერთის ყველაზედ უფრო დიდის თუთუნის ქარხნის მუშები არ მიმხრობიან გაფიცულებს, ამიტომ დიდი არეულობა მაინც და მაინც არ მომხდარა. სამაგიეროდ, გროდნოს მაზრის დაბა კრინკაში გაფიცულებს გაუნადგურებიათ ვოლოსტის სამმართველო, საფოსტო განყოფილება, სახაზინო ღვინის დუქნები და სხვა. როდესაც ჯარი მისულა, გაფიცულები მიჰგებებიან წითელის ბაირაღითა და სარევოლიუციო სიმღერებით. ჯარი ჯარს შემორტყმია, მაგრამ თოფების ხმარებაზე საქმე არ მიმდგარა. დაუტუსაღებიათ მრავალი მუშა. (რ. ვ.)

— ორშაბათს, 17 იანვარს, ირკუტსკში რკინის გზის სახელოსნოების და დეპოს მუშები გაფიცულან და ერთ ჯგუფად გამგზავრებულან გუბერნატორის სადგომისკენ. გზაზედ დახვედრია ჯარი და კაზაკები და გამოუცხადებიათ მუშებისათვის, გუბერნატორი საგუბერნიო სამმართველოში იმყოფებაო. მუშები იქით გაბრუნებულან, უნახავთ გუბერნატორი, წარუდგენიათ თავიანთი მოთხოვნილებანი და დაშლილან. ამასთან ამბობენ, პოლიცია ძალიან კარგად მოექცა გაფიცულებსაო. (რ. ვ.).

— რიგაში მუშათა მღელვარება ჯერაც არ დაწყნარებულა. ამ დღეებში ზოგიერთ ქარხნებში მუშაობაზედ ისევ ხელი აუღიათ. ქალაქი თურმე ჯარით სავსეა, მაგრამ მუშები წესიერებას არ არღვევენ. (რ. ვ.)

— მოსკოვის მემუსიკეთ მიუღიათ დადგენილება. რომელშიაც, სხვათა შორის, სწერია: «როდესაც ცხოვრებას ხელ-ფეხი შეკრული აქვს, ხელოვნებაც არ არის თავისუფალი, რადგან ხელოვნება მხოლოდ ნაწილია ცხოვრებისა. როდესაც ხალხს არა აქვს თავისუფლება აზრისა, სინიდისისა, სიტყვისა და პრესსისა, როდესაც ხალხის ყოველ ცოცხალ შემომქმედ ძალას წინ ეღობება მრავალი დაბრკოლება, იქ ხელოვნება სნეულდება, კვდება. ტყუილად ვატარებთ ჩვენ თავისუფალ მხატვრის სახელს; ჩვენც დღეს ისევე უფლება-მოკლებულნი ვართ, როგორც დანარჩენი რუსის მოქალაქეები და, ჩვენის აზრით, ამ მდგომარეობიდან რომ გავიდეთ, მხოლოდ ერთი-ღა დაგვრჩენია: რუსეთი უნდა დაადგეს ძირითად რეფორმების, ცვლილების გზას. (რ. ვ.)

— 5 თებერვალს მოსკოვში ყველა აფთიაქების მოსამსახურეთ მუშაობა შეუწყვეტიათ. („რ. ვ.“).

— 4 თებერვალს სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს, რამდენისამე პროფესორის თანადასწრებით, გაუმართავთ კრება. პროფესორებს მოუსმენიათ წინა-დღით სტუდენტებისაგან დადგენილი გარდაწყვეტილება ენკენისთვემდის სწავლის შეწყვეტის შესახებ და უთქვამთ: თუმცა თანაგიგრძნობთ, მაგრამ რა გარდაწყვეტილებას დაადგება აკადემიის საბჭო, ამაზედ ვერაფერს გეტყვით, რადგან აკადემიის გამგეობა სტუდენტთა მოძრაობას არ ეთანხმებაო. პროფესორთა წასვლის შემდეგ კრება გაგრძელებულა ნაშუაღამევის 1 საათამდე. („რ. ვ.“).

— კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტები შეყრილან ერთად 31 იანვარს და ხმის უმეტესობით დაუდგენიათ: ვიშუამდგომლოთ პროფესორებთან, რომ სწავლა დროებით შეაჩერონო. («რ. ვ.»).

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

გაზ. „ნ. დ.“ (5 თებერვალს) ჰკიცხავს «ნოვოე ვრემიას» თანამშრომლის ლ. ლ. ტოლსტოის აზრს საერო კრების წარმომადგენლობის შესახებ. ტოლსტოის აზრით, თვითეულს წოდებას თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს საერო კრებაში. მაგალითად, თავად-აზნაურთა წოდებამ, მოქალაქეთა, გლეხთა სამღვდელოთა და სხვ. და სხვ.; ასე ყოფილა შვეციაში და ჩვენშიაც ასე უნდა იყოსო. «ნ. დ.»-ის აზრით, დიდი განსხვავებაა ამ მხრივ შვეციასა და რუსეთს შორის.

„უკვე საშუალო საუკუნოებშიო,—ამბობს გაზეთი,—შვეციის წოდებანი წარმოადგენდნენ ძლიერ პოლიტიკურ კორპორაციებს; შვეციის სეიმებს, რომელნიც შესდგებოდნენ ამ კორპორაციათა წარმომადგენლებისაგან, უხსოვარის დროიდან ჰქონდათ გავლენა სახელმწიფო და საზოგადო საქმეებზე. მაგალითად, 1720—1771 წლამდის ეს სეიმი, („რიქს დაგებ“) განაგებდა სახელმწიფოს შინაგან და საგარეო პოლიტიკის საქმეებს, სეიმი ნიშნავდა უმაღლეს ადმინისტრაციის მოხელეებს, მოსთხოვდა ანგარიშს სახელმწიფო საბჭოს, რომელიც მხოლოდ აღმასრულებელი დაწესებულება იყო.

და მას შემდეგ, როდესაც გუსტავ III-ემ განაძლიერა მეფის უფლება, როდესაც რიქსდაგს (სეიმს) ჩამოერთვა ზოგიერთი უფლებანი, აი რას სწერდნენ წარმომადგენელნი თავად-აზნაურთა, მოქალაქეთა, სასულიერო წოდებისა და გლეხთა 1772 წლის „Regeringsformen“-ში:

„ჩვენ, დღეს აქ შეკრებილმა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, საჭიროდ ვსცანით დაგვემტკიცებინა ყოველივე ესე დასამყარებლად წესიერებისა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ჩვენის თავისუფლებისა და მშვიდობისათვის, აგრეთვე თავისუფლებისა და მშვიდობისათვის შინ დარჩენილ ჩვენთა ძმათა და ყოველთა, ვინც დაბადებულა და დაიბადება. ჩვენ ვაცხადებთ ამით კვლავ, რომ საშინლად გვეზიზღება მეფის თვით-მპყრობელობა და ვთვლით ჩვენთვის დიდ ბედნიერებად, პატივად და სასარგებლოდ, ვიყოთ და ვიცხოვროთ თავისუფალ, დამოუკიდებელ, კანონის-მდებელ წოდებებად და უნდა ვემორჩილებოდეთ ამ კანონებს ძლიერის, მაგრამ კანონით შეზღუდულის, მეფის ხელქვეით; ამასთანავე ჩვენცა და იგიც უნდა ვიყოთ დაჭერილნი და დაფარულნი კანონით, რომელსაც შეუძლიან გვიხსნას ჩვენ და ჩვენი საყვარელი სამშობლო განსაცდელთაგან ანარქიისა, თვითნებობისა, თვითმპყრობელობისა, არისტოკრატიისა და ოლიგარხიის მხრივ მთელის საზოგადოების საზიანოდ, თვითეულის მოქალაქის დასამძიმებლად და შესაწუხებლად“.

სეიმის განსაკუთრებულმა დამწესებელმა კრებამ დააწესა 1809 წლის კონსტიტუცია; 1866 წ. სეიმმა დააწესა ახალი კონსტიტუცია, რომელმაც გააუქმა წოდებათა წარმომადგენლობა და შემოიღო საზოგადო-ევროპიულ პარლამენტის მმართველობა. აი ის პოლიტიკური სკოლა, რომელშიაც განვლო შვეციის წოდებებმა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. და ჩვენმა თავად-აზნაურობამ, მოქალაქეებმა, სოფლელებმა და სასულიერო წოდებამ—სად მიიღეს მათ თავისი პოლიტიკური აღზრდა? სად აქვთ მათ პოლიტიკური ტრადიციები?“

გაზეთის აზრით, რუსეთის „საერო კრება“ წოდებათა წარმომადგენელთაგან კი არ უნდა იქმნეს შემდგარი, არამედ მცხოვრებთა საერთო არჩევით, წოდებათა განურჩევლად.

⁂

იგივე გაზეთი (იმავე რიცხვ.) სჩივის, რომ მთავრობა მხოლოდ მაშინ ცდილობს გაავრცელოს ხალხში სამეცნიერო და საჰიგიენო ცოდნა, როდესაც ჭირი ან ხოლერა გვემუქრება ან გვეწვევაო. მაგალითად, ამას წინად შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა ბრძანება გუბერნატორებს გამართონ სახალხო კითხვები მკურნალთა შემწეობით ხოლერის თავიდან ასაცილებლად. უბედურობა მხოლოდ ის არისო,—სამართლიანად ამბობს გაზეთი,—რომ ხალხში ცოდნის გავრცელება ასე უცბად არ შეიძლებაო. საზოგადოდ ინტელიგენციას ნებას არ აძლევენ გაანათლოს ხალხი, მიაწოდოს ხალხს საჭირო ცოდნა; ამიტომ ხალხი უმეცრებაში სცურავს. და როცა ხოლერა ან შავი ჭირი კარს მოგვადგება, როგორ შეიძლება ასე ადვილად ვავფანტოთ სიბნელე და უმეცრება, უცბად ჩავუნერგოთ ხალხს თავში ახალი, მეცნიერული აზრები. ეს კიდევ არაფერი, თვით ხოლერობის დროსაც კი აფერხებენ საჭირო ცოდნის გავრცელებას ხალხშიო. მოვიყვანთ აქ თვით გაზეთის სიტყვებს:

„რუსეთის მკურნალთა საზოგადოებას,

მზად არიან თეთრი შავად აღიარონ, ოღონდ კი უფროსის ბრძანება და წყალობა მიიღონ. აი აქ, ამ შემთხვევაში, საზოგადოება უნდა ჩაერიოს საქმეში, მან უნდა მოითხოვოს თავის შვილების ტანჯვისაგან განთავისუფლება და იმ პირთა მოქალაქობრივ უფლებათა აღდგენა, რომელთაც ნორჩი თაობის პირ-და-პირი აქტიური აღზრდის საქმე აბარიათ.

მან უნდა გაახსენოს სწავლა-აღზრდის საქმის ოფიციალურ მეთაურს უკვდავი პედაგოგის უშინსკის სიტყვები: „საზოგადო სწავლა-აღზრდის საქმე მაშინ იქმნება რაციონალური და ჭეშმარიტი, როცა კერძო, ოჯახური კითხვები გახდებიან საზოგადო კითხვებად და საზოგადო კითხვები კერძო კითხვებათ. სადაც საზოგადო აზრი არ ეხება სწავლა-აღზრდის საქმეს, იქ არ სუფევს საზოგადო აღზრდა, თუ გინდ მრავალი საზოგადო სკოლებიც არსებობდეს“ *).

სოფლის საზოგადოების წარმომადგენელთ, როგორც ზემოდაც აღვნიშნე, თავისს უსწავლელობის, გაუგებრობის გამო, არ შეუძლიანთ ჩარევა ასეთს რთულს საქმეში, თუმცა მისი გაღვიძების დროც დგება.—ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლებმა კი უნდა გამოპრაწონ თვალები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მასწავლებლებთან ერთად აღზრდის საქმეში... დღეს ეს შესაძლებელიც არის: აქამდის ძილად მიგდებულმა სასკოლო კომისიამ, რომელსაც ისე აწუხებდა სკოლის საქმეები, დღეს ახალი წევრების შეძენის წყალობით გამოიღვიძა და ენერგიულად მოქმედებს. მისი მეცადინეობით მომდინარე სასწავლო წლის პირველ ენკენისთვიდან ორი ახალი პირველდაწყებითი სკოლა მიემატა ქალაქს...... აი ამ სკოლებშიაც, გახსნისთანავე, დირექტორის განკარგულებით შემოღებული იქმნა ბუნებითი მეთოდით სწავლება და ბ ნ ლევიცკის წიგნებიც. მასწავლებლები წინააღმდეგნი არიან, მაგრამ თავის წინააღმდეგობას მარტო კერძო ლაპარაკში და ქუჩებში აცხადებენ და დირექტორთან ვერას ჰბედავენ... და ამ ნაირად თავისი სურვილის წინააღმდეგ ეჯიჯღინებიან ბავშვებს მუნჯურად და გაუგებარი ფრაზებით ნორჩ გონებას უჩლუნგავენ.

ჩემის აზრით ძლიერ კარგს იზამს სასკოლო კომისია, [illegible] თავის პირმშო სკოლებისა, რომ ყველა მასწავლებელთა თანდასწრებით და აქტიური მონაწილეობით კატეგორიულად დაადგენდეს მოხსენებული წიგნების განდევნას სკოლებიდან... ნუ თუ ამისი უფლება არა აქვთ ქალაქის წარმომადგენელთ!!...

ქალაქი ინახავს სკოლებს, ქალაქზეა დამყარებული მათი არსებობა და ქალაქს არ შეუძლია ამ სკოლებში აღზრდის საქმე დააყენოს სასურველ ნიადაგზე!... სამწუხარო მოვლენაა... ტანი ქალაქს—სული მთავრობას. ტანი ცალკე—სული ცალკე, შეერთება თურმე არ შეიძლება. Странно имѣть школу, содержать ее цѣликомъ на свои средства и не имѣть права интересоваться ея духовною жизнью,—(воскликнулъ г. „Семеновъ, кода дирекція Петербургскихъ народныхъ училищъ стала пикироваться съ училищной комиссіею на почвѣ предъявленія своихъ правъ вмѣшательства въ учебно-воспитательную часть содержимыхъ городомъ начальныхъ училищъ.

ვარლ. ობჩელი.

---

*) „Вѣстникъ воспитанія» 1891 г. № 7 стр. 89. „Педагогъ идеалистъ.“

დაარსებულს პიროგოვის პატივსაცემლად, ჰყავს კომისია, რომელიც ზრუნავს ჯანმრთელობის შესახებ სახალხო წიგნების გავრცელებაზედ... ამ კომისიისაგან გამოცემულმა წიგნებმა ჯერ უნდა გაიაროს ჩვეულებრივ ცენზურაში, შემდეგ ხსენებულ საზოგადოების მმართველობამ უნდა სთხოვოს დეპარტამენტს განხილვა წიგნებისა და ნება-რთვა მათის საჯაროდ წაკითხვისა და შენახვისა უფასო სახალხო სამკითხველოებში და მოსწავლეთა წიგნთ-საცავებში. და აი, შარშან, მაგალითად, რა მოხდა: საზოგადოების მმართველობამ 14 თებერვალს 1904 წელს გაჰგზავნა დეპარტამენტში ა. ე. პომბრაკის წიგნაკი „გადამდებ სენთა შესახებ“ და ითხოვა საჭირო ნება-რთვა. 8 თვე პასუხი არ მოუვიდა. 11 ოქტომბერს 1904 წლ. მმართველობამ გაჰგზავნა იმავე დეპარტამენტში წიგნაკი „ლოთობის შესახებ“ დ. ვ. აპტეკმანისა და სთხოვა დაეჩქარებინა პასუხი ა. ე. პომბრაკის შესახებ. გადის კიდევ $2^{1}/_{2}$ თვე და კიდევ არ არის პასუხი. მაშინ მმართველობამ 20 დეკემბრის სხდომაზე ერთხმად გადასწყვიტა, სთხოვოს სახალხო განათლების მინისტრს, რომ ასეთი საქციელი დეპარტამენტისა აფერხებს საზოგადოების განმანათლებელ მოღვაწეობას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მეტადრე ახლა, როდესაც კარს მოგვდგომია საშიშარი სნეულებანი, ჭირი და ხოლერა, და მმართველობა იძულებული იქნება დეპარტამენტში წარუდგენლად გამოსცეს თავისი წიგნაკები. მმართველობის ეს განაჩენი დაიბეჭდა გაზეთებში და ალბად ეს იყო მიზეზი, რომ დეპარტამენტმა, როგორც იყო, 20 იანვარს 1905 წ. ნება დართო პომბრაკის წიგნაკის შენახვაზე დაბალ სასწავლებელთა წიგნთ-საცავებში, აპტეკმანის წიგნაკის შესახებ-კი ჯერაც არ არის პასუხი. ასე და ამგვარად, 76 გვერდიან წიგნაკის წაკითხვას დეპარტამენტი 11 თვე მოუნდა!

...საგანს თავისი სახელი უნდა ვუწოდოთ; სახალხო განათლების სამინისტროს დეპარტამენტი წინააღმდეგია ხალხის განათლებისა“.

თეატრი და ხელოვნება

„პეპელათა ბრძოლა“ ზუდერმანისა.

(ბენეფისი ტასო აბაშიძისა)

ზუდერმანის „პეპელათა ბრძოლა“, რომელიც, ცოტა არ იყოს, გაჭიანურებულია და არ შეიცავს სასცენო ეფექტებს, მსახიობთაგან ითხოვს დაკვირვებულსა და აზრიან თამაშს და ამიტომაც ქართულ სცენიდან ცუდი შთაბეჭდილება იქონია მაყურებლებზე. საზოგადოდ ქართველს საზოგადოებას სჩვევია თეატრში თავ-დაუჭერლობა, ლაპარაკი, პოლო ამ ღამეს კი თავდაუჭერელთა რიცხვს მთქნარებელნიც მიემატნენ.

ჩვენმა არტისტებმა პიესა პირველ მოქმედებაში უშინაარსო, აურ-ზაურიან ვოდევილად გადააქციეს, რის გამოც ბევრი გულ-უბრყვილო დამსწრე აცინეს, ბოლოს კი თვითვე ხალისი დაჰკარგეს, უსულგულოდ დაიწყეს თამაში და ბევრჯელ მათი ხმა სრულიად არ ისმოდა.

დანარჩენ მოთამაშეთაგან ხელოვნურის თამაშით ირჩეოდა თვით მობენეფისე ქ-ნი ტასო აბაშიძე, რომელმაც თხუთმეტის წლის ქალის როზას როლი ჩინებულად შეასრულა. იყო ისეთი მომენტები, რომელიც ნიჭიერმა მსახიობმა ქალმა ჭეშმარიტის გრძნობითა და სინამდვილით აღბეჭდა.

დანარჩენები, როგორც ვთქვით, მეტად სუსტნი იყვნენ და მათში პირველობა ქ-ნ კარგარეთელს ეკუთვნოდა, რომელიც ისე გაუგებრად ამბობდა სიტყვებს, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო ერთის მთლიანის წინადადების გაგება მაინც.

ა—ნა.

„ივერიის“ ფოსტა

ქუთაისი. თარხანს. თქვენმა რეცენზიამ დაიგვიანა.

დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 თებერვალი.

ვენა. დიპლომატიურ წრეებში დიდი მღელვარებაა ბერლინში ავსტრიის საგენერალო საკონსულოს გატეხის გამო. დამაშავეედ გამოდგა ვიცე-კონსული დეიტელი, რომელიც გადაყენებულ იქმნა სამსახურიდგან.—ხმები დადის, რომ ნიშში ნახვის დროს მეფე პეტრემ და მთავარმა ფერდინანდმა პირობა შეჰკრეს მაკედონიაში მომხდარ ამბების შესახებ. პირობას შეუერთდა ჩერნოგორიაც.

პარიჟი. ლუბე აპირობს შემოდგომაზე ინახულოს ესპანიის მეფე, რომელიც ინახულებს თავის მხრით ლუბეს მაისის მეორე ნახევარში.—ინგლისის კონსერვატიულმა პრესამ პროტესტი განაცხადა სამედიატორო კომისიის განაჩენის გამო ჰულის ინცინდენტის შესახებ. „მორნინგ პოსტ»-ი და „სტანდარტი» ამბობენ, რომ ინგლისს დიპლომატიურის მოლაპარაკებით შეეძლო მოეპოვებია მეტი ზნეობრივი კმაყოფილებაო. ზოგიერთი კონსერვატიული გაზეთი ამბობს, რომ შეუძლებელია ინგლისმა მოიპოვოს სიმართლე საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს საშუალებითაო. ლიბერალური პრესა ასე არ კიცხავს განაჩენს, თუმცა არ არის კმაყოფილი.—„დეილი მეილში“ გამოქვეყნებულია ტოკიოდგან დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ კამიმურას ესკადრა ინდოეთის ოკეანეში იმყოფებაო.

მარსელი. „მესსაჟერი მარიტიმის“ კომპანიამ გადასწყვიტა, რომ შავ ზღვაში მიმავალი გემები დროებით აღარ შევიდნენ ბათუმში.

კოვნა. აქაურის მარიის საქალებო გიმნაზიის უფროსის ინიციატივით იკრიბება პირველი საზოგადო კრება პედაგოგებისა და მოსწავლეთა მშობლებისა პედაგოგიურ საქმეების ერთად განსახილველად.

ნიუ-იორკი. გაზეთი „ვორლდი“ ამბობს, რუზველტმა მიიღო საიდუმლო ცნობა, რომ იაპონიამ გააგებინა ყველას, ზავი მსურსო. «ვორლდი» დასძენს, რომ იაპონიამ წინა-დაუდო რუსეთს მთავარი პირობანი, რომელზედაც შეუძლია დასთანხმდეს.

ლონდონი, 9 თებერვალი. ყველგან ინგლისში დიდი მღელვარებაა პეტერბურგიდან მიღებულ ზავის შესახებ ცნობების გამო, რომელიც რეიტერის სააგენტომ გამოაქვეყნა. მოხსენებაში მოყვანილია პირობები, რომელისაც შეუძლიან დააკმაყოფილოს რუსეთი. «ტაიმსი» ამბობს, რომ ეს ცნობები მხოლოდ საშინჯად არის გამოქვეყნებულიო. აქ ოფიციალურ წრეებში ეს დეპეშები მოგონილი ჰგონიათ.

[illegible] [illegible], რომელიც შეიძლება მიიღოს იაპონიამ, საიდუმლოდ ეცნობა ამ რამდენისამე დღის წინად რესპუბლიკის პრეზიდენტს იაპონიის მოციქულისაგან. ერთმა მაღალ-თანამდებობიანმა პირმა უთხრა კორრესპონდენტს, რომ, თუმცა იაპონიას სამართლიანად მიაჩნია მოსთხოვოს რუსეთს კონტრიბუცია, მაინც არ თხოულობს კონტრიბუციას.

11 თებერვალი.

პეტერბურგი. 10 თებერვალს „ცარსკოე სელოს“ დიდ სასახლის ტაძარში წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა პანაშვიდი ხელმწიფე იმპერატორის, ხელმწიფე დედოფლებისა, დიდ მთავრების, დიდ მთავრინების, მინისტრების, მაღალ მოხელეების და დიპლომატიის წარმომადგენლებისა თანადასწრებით.

მოსკოვი. 10 თებერვალს ანდერძი აუგეს დიდ მთავარს სერგი ალექსანდრეს ძეს. 10 საათს სამგლოვიარო რეკა ზარებისა გაისმა კრემლის ტაძრებში. ჩუდოვის მონასტერში მოვიდნენ კარის-კაცნი, დეპუტაციები სამხედრო ნაწილთა, რომელთა შეფადაც იყო გარდაცვალებული, და დეპუტაციები მრავალ საზოგადოებათა და დაწესებულებათა, რომელთა მფარველად, თავმჯდომარედ ან საპატიო წევრადაც იყო გარდაცვალებული. ტაძარში იყვნენ: გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი, გენერალ-ადიუტანტები, სახელმწიფო საბჭოს წევრნი, სენატორები, სტატს-სეკრეტრები, საპატიო მზრუნველნი. და მინისტრთა ამხანაგნი. 10 საათსა და 30 წუთს დაიწყო წირვა. ნიკოლოოზის სასახლის ოთახებიდან შემობრძანდნენ ტაძარში დიდი მთავრები და მთავრინები. უავგუსტოესმა პირებმა თაყვანი სცეს ცხედარს და კუბოს მარჯვნით დადგნენ. სწირავდა მიტროპოლიტი ვლადიმირი ორის ეპისკოპოსითა და მრავალ სასულიერო პირითურთ. წირვის გათავების შემდეგ უავგუსტოესმა პირებმა, მიტროპოლიტმა და დანარჩენმა სამღვდელოებამ თაყვანი-სცეს ცხედარს. კუბო აიღეს საიმპერატორო გვარის პირემმა, დიდის მთავრის სვიტის მოხელეებმა და თავად-აზნაურთა წინამძღოლმა. სამგლოვიარო პროცესსია გაემართა ანდრიას ეკლესიისაკენ «წმიდაო ღმერთოს» გალობით.—თავისის სიტყვის დასაწყისში მიტროპოლიტმა მიუსამძიმრა დიდ მთავრინას და უთხრა, რომ დიდის მთავრის მოკვლაში მთელი რუსეთის საზოგადოებაა დამნაშავეო. „სისხლი დიდის მთავრის—წამებულისა, როგორც სისხლი ძველთა წამებულთა, რომელნიც იღვწოდნენ სარწმუნოებისა და სამართლისათვის, იქმნება თესლი შენანებისა და ზნეობრივის გამოფხიზლებისა საზოგადოებისათვის. გვაპატიე ჩვენ, ძვირფასო დიდო მთავარო, წამებულო, დანთხეული სისხლი. არა თუ ახლა, არამედ არასოდეს არ მოკვდები შენ რუსეთის ხალხის ხსოვნაში, და ჩვენ კი მხურვალეთ ვილოცავთ განსასვენებლად შენის სულისა“.

ღამის დეპეშები

11 თებერვალი.

პეტერბურგი. მოხდა პირველი სხდომა საგანგებო საბჭოსი, რომელსაც მინდობილი აქვს ბეჭვდითი სიტყვის შესახებ ახალ წესდების პროექტის შედგენა. თავმჯდომარეობდა კობეკო. კარგა ხნის კამათის შემდეგ, კრებამ ერთხმად დაადგინა, მოისპოს ცენზურა როგორც სატახტო ქალაქისა, ისე პროვინციალურ ჟურნალ-გაზეთობაზედ და შემოღებულ იქმნეს პასუხის მგებლობა პრესსისა მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

6 იანვარს მომხდარ უბედურ შემთხვევის გამო სამხედრო სასამართლოში იქმნენ მიცემულნი კაპიტანი დავიდოვი, შტაბს-კაპიტანი კარცოვი, პოდპორუჩიკები როტი პირველი და როტი მეორე, მთავარ შტაბის პოდპოლკოვნიკი პოლოვცოვი და სამი ჯარის-კაცი.

ოფიციალური ცნობა შორეულ-აღმოსავლეთიდგან 10 თებერვალს არ მოსულა.

დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული დაინიშნა კიევის გრენადერთა მე-5 პოლკის შეფად.

დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების გამო ტობოლის მისის უმაღლესობის მე-38 ქვეითა პოლკს ამიერიდგან ეწოდება მე-38 ტობოლის ქვეითა პოლკი,

ლონდონი. ახალშენთა მდივნის პარლამენტში განცხადების თანახმად, სამხრეთ აფრიკაში ნებას მისცემენ 55,000 ჩინელ [illegible], მთავრობამაც ასეთი ნორმა დააწესოს.

ბერლინი. ფილადელფიის უნივერსიტეტმა იმპერატორი ვილჰელმი აირჩია უფლებათა დოქტორად. ამის გამო ვილჰელმმა უნივერსიტეტს დეპეშა გაუგზავნა და უსურვა აყვავება და წარმატება.

296 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ, 79 ხმისა, საბოლოოდ შეწყნარებულ იქმნა ავსტრიასთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულობა.

საელჩოს ეკლესიაში დიდის მთავრის სერგი ალექსანდრის ძის სულის საოხად გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი, რომელსაც დაესწრო მთლად დიპლომატიური კორპუსი, სასახლის წევრნი და დეპუტაცია მხედრობისაგან. იმპერატორის წარმომადგენლად იყო პრინცი იოაქიმ-ალბრეხტი.

ტოკიო. ახლო მომავალში გამოცემული იქმნება იაპონიის 6% სესხი 100.000.000 იენისა. სესხის გამოცემის ფასია 90% განზრახულია სესხი განადდებულ იქმნას 7 წლის განმავლობაში. შემდეგი მეხუთე სესხი გამოიცემა 2 ან 3 თვის მერე.

ნიუ-იორკი. კორესპონდენტის (?) სიტყვით, რომელსაც გადმოგვცემს „ლაფფანის სააგენტო“, ამერიკის გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციალურად ეცნობა, რომ იაპონიას სურს მოლაპარაკება დაიწყოს ზავზედ, მაგრამ სანამ მოლაპარაკება დაიწყებოდეს, აუცილებლად საჭიროა გამორკვეულ იქმნას, რომ კორეია დარჩება იაპონიის ზედამხედველობის ქვეშ და მანჯურია ხელშეუხებელი.

თეოდოსია. გენ. სტესსელი მეუღლითურთ დღეს, საღამოს 9 საათზედ, პეტერბურგს გაემგზავრა.

ჰელსინგფორსი. მოვიდა ერთი ჯგუფი შორეულ-აღმოსავლეთში დაჭრილთა.

ლონდონი. როგორც „ცენტრალნიუს“-ის სააგენტო იუწყება, ლონდონში მყოფ რუსეთის აგენტებს პეტერბურგიდგან ინსტრუქცია მიუღია, რომ აღარ დაიქირაონ ამიერიდგან სანაზღვრე გემები ვლადივოსტოკისათვის.

ტოკიო. 3,000 ყაზახი ორის ზარბაზნით 8 თებერვალს გათენებისას გამოჩნდა ხაიჩენის სამხრეთად და იერიში მიიტანა ტანზიატუნთან იაპონელთა სადარაჯო ადგილზედ, ძველსა და ახალ ნიუ-ჩუანს შუა. იაპონელებმა რუსები უკუ აქციეს. თუმცა რუსებმა დააზიანეს რკინის გზა და ტელეგრაფი, მაგრამ ისე უმნიშვნელოდ, რომ ხელად შეაკეთეს იაპონელებმა.

დროებით რედაქტორი გრ. ყიფშიძე
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები.

ქალაქის სახაზინო საავადმყოფო—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი ერთო ოთახში—12 მან., ცალკე ოთახში—60 მ. თვეში.

ქალაქის სამკურნალო—მუხრანის ქუჩა-სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთ, თავის რჩევას და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტხანცი.

კუკიისა—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

თვალების სამკურნალო—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი-ქალი პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავშესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში,—სახლი ოლდლოუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 1—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღმ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილთ 10—2 საათ.
„ „ სღამ. 5—8 „

მიმოსვლა რკინის გზით მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკდომბრიდან

(ფრჩხილებს გარდ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 10 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა, და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 22 წ. (11 ს. 22 წ.).
ლის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონლის სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წუთ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 (6 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დი 7 ს. 10 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დი

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ; (3 ს, 38 წ:).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 48 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.)

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 7 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (18ს. 18 წ.).

ყოველ-კვირეული ჟურნალი

ჯ მ ო გ ზ ა უ რ ი ჯ

(წელიწადი მ ე ხ უ თ ე—პირველი)

გამოვა 1905 წელს 16 იანვარიდან ვრცელის პროგრამით

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ფ. მახარაძე, ივ. გომართელი, ნ. ელიავა, ი. ევდოშვილი, ი. კვიცარიძე, ნ. კალანდაძე, ლალიონი, გ. მარმალაძე, ყვირილელი, კ. ჯაფარიძე, ა. წულუკიძე, გ. წულუკიძე და სხვები.

ჟურნალის ფასი გაგზავნით რუსეთის ქალაქებში:

ერთის წლით—5 მან., ნახევარის წლით—3 მან., ცალკე ნომერი—სამი შაური. წლიურის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: „მოგზაურის“ რედაქციაში (რუსტოვის ქუჩა, № 21) და წერა-კითხვის საზ. მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან, ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან, ჭიათურაში—ირ. დეკანოზიშვილთან, სამტრედიაში—ყარამან ნანეიშვილთან, ხონში—ექიმ კიკალიშვილთან. რედაქცია იმყოფება რუსტოვის ქუჩაზე სახლი 21. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «МОГЗАУРИ».

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეთექვსმეტე

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

„ჯეჯილში“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.

რედაქციასთან დასებული კომისია ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლად.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს «ჯეჯილის» ნომრებში ნახატები ფერადის წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა და სხვა სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი «ჯეჯილი» მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო საბჭოებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ნახევარის წლით 2 მან. 50 კ., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—«წერა-კითხვის გამ. საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул, д. Груз Двор., № 101), და თვით «ჯეჯილი»-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში

„ქართველ ქალთა წრის“ მიერ გამოცემული

„ზ ღ ა პ რ ე ბ ი“

წიგნში მოთავსებულია მხატვრის ო. შმერლინგის მიერ დასურათებული ჩვიდმეტი ხახური ზღაპარი. წიგნი დიდის ფორმატისაა, შეიცავს 160 გვერდს და ღირს 1 მანეთად 30 კაპ.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 11 февраля, 1905 г.

Типографія Т-ва „ТРУДЪ“, Фрейлинская № 5.